გამოყენების ინსტრუქცია

enterofurili® 100მგ მყარი კაფსულები
ENTEROFURYL® 100mg

<u>ფურცელი-ჩანართი პაციენტებისათვის</u>

enterofurili® 100მგ მყარი კაფსულები

ნიფუროქსაზიდი

პრეპარატის გამოყენებამდე ყურადღებით გაეცანით წინამდებარე ფურცელ-ჩანართს, ვინაიდან მასში მოცემულია თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია!
პრეპარატის შეძენა შესაძლებელია ურეცეპტოდ. პრეპარატის მაქსიმალური ეფექტის მისაღებად დაიცავით ფურცელ-ჩანართში მოცემული მითითებები.
შეინახეთ ფურცელი-ჩანართი. შესაძლოა კვლავ დაგჭირდეთ.
დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

ფურცელ-ჩანართში იხილავთ:

1. რა არის enterofurili® 100მგ მყარი კაფსულები და რისთვის გამოიყენება
2. enterofurili® 100მგ მყარი კაფსულების გამოყენებამდე
3. enterofurili® 100მგ მყარი კაფსულების გამოყენების წესები
4. მოსალოდნელი გვერდითი ეფექტები
5. enterofurili® 100მგ მყარი კაფსულების შენახვის პირობები
6. დამატებითი ინფორმაცია

1. რა არის enterofurili® 100მგ მყარი კაფსულები და რისთვის გამოიყენება

პრეპარატი წარმოადგენს ნაწლავური ინფექციების საწინააღმდეგო საშუალებას. enterofurili® 100მგ კაფსულები გამოიყენება მოზრდილებსა და 6 წელზე ზემოთ ასაკის ბავშვებში ინფექციური წარმოშობის მწვავე დიარეის სამკურნალოდ. საჭიროების შემთხვევაში არ არის გამორიცხული დიეტის დაცვა და რეჰიდრატაცია მკურნალობის პერიოდში.

2. enterofurili® 100მგ მყარი კაფსულების გამოყენებამდე

აცნობეთ მკურნალ ექიმს თუ ღებულობთ სხვა პრეპარატებს, გაქვთ ქრონიკული დაავადება, ნივთიერებათა ცვლის დარღვევები, აღგენიშნებათ ჰიპერმგრძნობელობა ან გქონიათ ალერგია ზოგიერთი პრეპარატის მიმართ.

<u>არ მიიღოთ enterofurili® 100მგ მყარი კაფსულები თუ</u>

- გაქვთ ალერგია (ჰიპერმგრძნობელობა) ნიტროფურანის წარმოებულების ან პრეპარატის სხვა ინგრედიენტების მიმართ (ჩამონათვალი მოცემულია ნაწილში 6).

<u>რას უნდა მიაქციოთ ყურადღება enterofurili® 100მგ მყარი კაფსულების მიღებისას.</u>

<u>განსაკუთრებული გაფრთხილებები</u>

თუ ექიმისაგან ინფორმირებული ხართ, რომ გახასიათებთ ეგრეთ წოდებული აუტანლობა შაქრის ზოგიერთი ტიპის მიმართ პრეპარატის გამოყენებამდე კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან.

<u>დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს შემდეგ შემთხვევებში:</u>

- თუ გაუმჯობესება არ შეინიშნება მკურნალობის დაწყებიდან 3 დღის შემდეგ;
- გაქვთ მაღალი ტემპერატურა, ღებინება;
- განავალში აღინიშნება სისხლი ან ლორწო;
- ძლიერი წყურვილის ან ენის სიმშრალის შეგრძნების დროს. აღნიშნული სიმპტომები მიუთითებენ დეჰიდრატაციის დაწყებაზე, ე.ი. დიარეის გამო მნიშვნელოვანი რაოდენობის სითხის დაკარგვაზე. ექიმი გადაწყვეტს საჭიროა თუ არა რეჰიდრატაცია, რომელიც შესაძლოა ჩატარდეს პერორალურად ან ინტრავენურად.

<u>უსაფრთხოების ზომები</u>

ყოველთვის დაიცავით ექიმის მიერ დანიშნული რეჰიდრატაციის პერორალური ხსნარის მიღების და გახსნის მეთოდები და გაითვალისწინეთ დიეტასთან დაკავშირებული რჩევები.

აღნიშნული მკურნალობა წარმოადგენს დამატებით საშუალებას დიეტის დროს, როდესაც ასევე:

ტარდება რეჰიდრატაცია დიდი რაოდენობით მარილიანი ან ტკბილი სითხეებით, რათა მოხდეს დიარეით გამოწვეული დაკარგული სითხის ანაზღაურება (მოზრდილებში დღეში საშუალოდ 2 ლიტრი).

საკვების მიღება დიარეის დროს

- მოერიდეთ გარკვეული სახის პროდუქციის, განსაკუთრებით კი უმი საკვების მიღებას როგორიც არის ხილი, ბოსტნეული, ასევე მოერიდეთ ცხარე სადილს, გაყინულ საკვებს და სასმელებს;
- უმჯობესია გამომცხვარი ხორცი და ბრინჯი.

რძის და რძის პროდუქტების მიღებასთან დაკავშირებით კონსულტაციისათვის მიმართეთ ექიმს.

სხვა პრეპარატების მიღება enterofurilis® 100მგ მყარ კაფსულებთან ერთად

გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია ეხება იმ პრეპარატებს, რომელთაც უკვე აღარ ღებულობთ ან გეგმავთ მიღებას. აცნობეთ ექიმს ან ფარმაცევტს თუ ღებულობთ ან ბოლო პერიოდში მიგიღიათ სხვა, მათ შორის ურეცეპტოდ შეძენილი პრეპარატები.

არ არის რეკომენდირებული enterofurilis® 100მგ მყარ კაფსულების მიღება ცნს-ის დეპრესანტებთან ან ისეთ პრეპარატებთან, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ დისულფირამის მსგავსი რეაქცია.

ორსულობა და ლაქტაცია

პრეპარატის გამოყენებამდე კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან ან ფარმაცევტთან.

ეს პრეპარატი არ გამოიყენება ორსულობის პერიოდში.

ძუძუთი კვება დასაშვებია თუ მკურნალობა ხანმოკლეა.

ტრანსპორტის მართვა და მექანიზმების გამოყენება

პრეპარატი არ ახდენს გავლენას ტრანსპორტის და/ან მექანიზმების მართვის უნარზე.

სხვა გაფრთხილებები

ეს პრეპარატი შეიცავს საქაროზას. მისი გამოყენება არ არის რეკომენდირებული პაციენტებში, რომელთაც აღენიშნებათ საქაროზას მიმართ აუტანლობა (იშვიათი მემკვიდრეობითი დაავადება).
ჟელატინის კაფსულა შეიცავს შემდეგ საღებავებს: აზორუბინი (E122) და პონსო 4R (E124), რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ალერგიული რეაქციები.

3. enterofurili® 100მგ მყარი კაფსულების გამოყენების წესები

პრეპარატი მიიღეთ ფურცელ-ჩანართში მოცემული მითითებების მიხედვით. კონსულტაციისათვის მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს თუ ფიქრობთ, რომ პრეპარატის ეფექტი ზედმეტად სუსტი ან ძლიერია.

<u>**პრეპარატის მიღების ინსტრუქცია**</u>

enterofurilis® 100მგ კაფსულები მიიღება პერორალურად.
კაფსულები უნდა გადაიყლაპოს ჭიქა წყალთან ერთად.
დოზირება
პრეპარატი მიიღება მოზრდილებსა და 6 წელზე ზემოთ ასაკის ბავშვებში.
მოზრდილებში
2 კაფსულა დღეში ოთხჯერ (სულ 800 მგ ნიფუროქსაზინი დღეში).
6 წელზე ზემოთ ასაკის ბავშვებში
2 კაფსულა დღეში სამჯერ ან ოთხჯერ (სულ 600-800მგ ნიფუროქსაზიდი დღეში).
არ არის რეკომენდირებული კაფსულის მიღება 6 წლამდე ასაკის ბავშვებში, რადგან შესაძლოა გამოიწვიოს გაგუდვა. ასეთი კატეგორიის პაციენტებში რეკომენდირებულია სუსპენზიის მიღება.

მკურნალობის ხანგრძლივობა
მკურნალობა შემოიფარგლება 7 დღით.

<u>**თუ მიიღეთ enterofurili® 100მგ მყარი კაფსულების საჭიროზე მეტი დოზა**</u>

თუ მიიღეთ პრეპარატის დანიშნულზე მაღალი დოზა დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს!
სამედიცინო ლიტერატურაში არ არის აღწერილი პრეპარატით მოწამვლის შემთხვევები.

<u>თუ დაგავიწყდათ enterofurili® 100მგ მყარი კაფსულების მიღება</u>

თუ დაგავიწყდათ პრეპარატის მიღება არ გააორმაგოთ დოზა, განაგრძეთ ჩვეულებრივი რეჟიმით.

<u>თუ შეწყვეტთ enterofurili® 100მგ მყარი კაფსულების მიღებას</u>

პრეპარატი მიიღეთ ექიმის მიერ დანიშნული ვადით.

პრეპარატის უეცრად შეწყვეტისას არ არის მოსალოდნელი უარყოფითი ეფექტების გამოვლენა. ნებისმიერ შემთხვევაში რეკომენდირებულია დაიცვათ მკურნალობის რეჟიმი და პრეპარატის შეწყვეტის თაობაზე კონსულტაციისათვის მიმართოთ მკურნალ ექიმს.

enterofurilis® 100მგ კაფსულების გამოყენებასთან დაკავშირებით ნებისმიერი ეჭვისა და შეკითხვის შემთხვევაში გაესაუბრეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

4. მოსალოდნელი გვერდითი ეფექტები

სხვა პრეპარატების მსგავსად enterofurilis® 100მგ კაფსულებმაც შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეული გვერდითი ეფექტები.

მოსალოდნელია ალერგიული რეაქციები, როგორიც არის გამონაყარი კანზე, ჭინჭრის ციება, კვინკეს შეშუპება (სახის ნაწილების, უმეტესწილად სახის, ენის, კისრის უეცარი შეშუპება) ან ანაფილაქსიური შოკი (ალერგიული შოკი, რომელიც შესაძლოა იყოს გენერალიზებული ტიპის).

დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს თუ შენიშნავთ რომელიმე გვერდით ეფექტს.

5. enterofurili® 100მგ მყარი კაფსულების შენახვის პირობები

enterofurilis® 100მგ კაფსულები შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

შენახვის განსაკუთრებული პირობები არ მოეთხოვება.

შენახვის ვადა: 5 წელი.

enterofurilis® 100მგ კაფსულები არ გამოიყენება შეფუთვაზე მითითებული ვადის გასვლის შემდეგ.

6. დამატებითი ინფორმაცია

რას შეიცავს enterofurili® 100მგ მყარი კაფსულები

enterofurilis® თითო კაფსულა შეიცავს: ნიფუროქსაზიდი 100,00მგ.

enterofurilis® 100მგ კაფსულა შეიცავს შემდეგ შემავსებლებს: სიმინდის სახამებელი, საქაროზა, ცელულოზას ფხვნილი, მაგნიუმის სტეარატი, მყარი ჟელატინის კაფსულა.

როგორია ვიზუალურად enterofurili® 100მგ მყარი კაფსულები და რას შეიცავს შეფუთვა?

enterofurili® 100მგ კაფსულები - მოგრძო, მყარი ჟელატინის კაფსულა, რომელიც შედგება კორპუსისა და ყვითელი სახურავისგან.

enterofurili® 100მგ კაფსულები მოთავსებულია კოლოფში, 30 კაფსულა.

სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი

Bosnalijek, Pharmaceutical and Chemical Industry, Joint Stock Company

სარაევო, იუკიჩევა 53, ბოსნია და ჰერცოგოვინა

მწარმოებელი

Bosnalijek, Pharmaceutical and Chemical Industry, Joint Stock Company

სარაევო, იუკიჩევა 53, ბოსნია და ჰერცოგოვინა

გაცემის წესი

ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

ფურცელი-ჩანართის განახლების თარიღი

2015 წლის აპრილი